შეთანხმების აქტი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და შპს "კახური ტრადიციული მეღვინეობა - აგრო-ქედა" -ს შორის 2014 წლის 29 აგვისტოს გაფორმებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

ქ. ბათუმი *"* 02. 03 *"2017 წელი*

ერთი მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, შემდგომში „გამყიდველი", წარმოდგენილი იურიდიული დეპარტამენტის უფროსის გელა ცინცაძის (პირადი №61010004263) სახით, მოქმედი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 31.01.2017 წლის №01-3/36 ბრძანებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, და მეორე მხრივ, შპს "კახურ ტრადიციული მეღვინეობა - აგრო-ქედა" (იურიდიული მისამართი: თბილისი, სულხან ცინცაძის ქ. N12, არასასცხოვრებელი ფართი N3-6, სართული 3, ს/კ 405048513; რეგისტრირებული 19.06.2014 წ.), შემდგომში „მყიდველი", წარმოდგენილი დირექტორის ალექსანდრე დადიანის (პ/ნ 01008009174) მიერ, მოქმედი შპს "კახურ ტრადიციული მეღვინეობა - აგრო-ქედა"-ს შესახებ ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, ვხელმძღვანელობთ რა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2017 წლის 27 იანვრის N17 განკარგულებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2017 წლის 27 იანვრის N17 ბრძანებითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 31.01.2017 წლის №01-3/36 ბრძანებით, წინამდებარე შეთანხმებას ვდებთ შემდეგზე:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და შპს "კახური ტრადიციული მეღვინეობა - აგრო-ქედა" -ს შორის 2014 წლის 29 აგვისტოს გაფორმებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაში (შემდგომში – „ხელშეკრულება") შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

ა) ხელშეკრულების 3.2 მუხლის „ვ" პუქნტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) არაუგვიანეს 2019 წლის 29 დეკემბრისა საკუთრებაში გადაცემულ უძრავ ქონებაზე (ს/კ 21.03.35.076) აამოქმედოს სასაწყობე მეურნეობა“;

ბ) ხელშეკრულების 3.2 მუხლის „ზ“ პუქნტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) არაუგვიანეს 2019 წლის 29 დეკემბრისა სასაწყობე მეურნეობის მოწყობის მიზნით განახორციელოს არანაკლებ 150 000 (ასორმოცდაათი ათასი) ლარის ინვესტიცია “.

2. ხელშეკრულების დანარჩენი მუხლები უცვლელია და მხარეები ადასტურებენ მათ მიმართ თავიანთ ვალდებულებებს, ისევე როგორც მთლიანად ხელშეკრულების მიმართ.

3 შეთანხმების აქტი შედგენილია 4 ეგზემპლარად, თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა და წარმოადგენს მხარეთა შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4. შეთანხმება ძალაში შედის მისი მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან.

დანართი:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2017 წლის 27 იანვრის N17 განკარგულება.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 27.01.2017 წ. N17 ბრძანება.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 31.01.2017 წლის N01-3/36 ბრძანება.

4. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან შპს "კახური ტრადიციული მეღვინეობა - აგრო-ქედა“ -ს შესახებ.

5. 2014 წლის 29 აგვისტოს ნასყიდობის ხელშეკრულების ასლი.

მხარეთა იურიდიული მისამართები:

გამყიდველი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, კომახიძის ქ. N119, ქ. ბათუმი, საქართველო.

მყიდველი: შპს "კახურ ტრადიციული მეღვინეობა - აგრო-ქედა"; იურიდიული მისამართი: თბილისი, სულხან ცინცაძის ქ. N12, არასასცხოვრებელი ფართი N3-6, სართული 3, ს/კ 405048513.

მხარეთა ხელმოწერები,

გამყიდველისგან:

მყიდველისგან: